# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

# Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030105392607520

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

**№ 01/12015** **02 / ოქტომბერი / 2020 წ.**

საერთაშორისო ფონდ კურაციოს დირექტორს
ბატონ გიორგი გოცაძეს

ბატონო გიორგი,

როგორც მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის შეფასების და საერთაშორისო ან/და ეროვნული მკურნალობის სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეიქმნა მოწვეულ ექსპერტთა ჯგუფი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 24 სექტემბრის N01-482/ო ბრძანება) (დანართი 1), რომელიც უზრუნველყოფს:

- სტაციონარული დაწესებულებების რანდომულ შერჩევას COVID-19-ის შემთხვევების სტაციონარული მკურნალობისთვის მობილიზებული სამედიცინო დაწესებულებების სიიდან, სამინისტროსთან ერთად;
- შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში COVID-19)-ის იმ სამიზნე შემთხვევების რანდომულ შერჩევას (მიმდინარეობის სიმძიმის, ასაკის, თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით), რომელთაც უნდა ჩაუტარდეს კლინიკური აუდიტი;
- კლინიკურ შემთხვევებს და მართვის ტაქტიკას მიმოიხილავს აუდიტს დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან ერთად და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, ამზადებს რეკომენდაციებს COVID-19-ის შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე.

გიგზავნით კლინიკური აუდიტის ჯგუფის წევრების სიას (დანართი 2). გთხოვთ, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოთ კლინიკური აუდიტის ჯგუფის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წონწკოლაური